№ 131 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. საშაბათი ივნისის 15 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება. ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## სიღნაღის სამაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობის პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ამა წლის ივნისის 30-ს (ახ. სტ.) მოწვეულია ქ. სიღნაღში, საერობო გამგეობის ბინაზედ სამაზრო საერობო ხმოსანთა მე-4 ყრილობა. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება საერობო გამგეობისა, წარსული წლის მოქმედების შესახებ.
2. 1920 წ. სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხის განხილვა და დამტკიცება
3. ლაგოდეხის უბნის მომრიგებელ მოსამართლის არჩევა,
4. თანახმათ 11 ივლისის 1919 წ. კანონისა, უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევის შესახებ.

5) საერობო გამგეობის წევრთა, ი. ზ. კრაწაშვილის და ს. დ. ნატროშვილის განცხადებანი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

6. მიმდინარე საკითხები.

პრეზიდიუმი სთხოვს ყველა ხმოსანს უეჭველად დაესწრნენ ყრილობას. 630 5—5

## საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 20 ივნისს, დილის 11 საათზე დანიშნულია წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა წლიური კრება საბებიო ინსტიტუტის შენობაში (26 მაისის ქ., ყოფილ ოლღას ქ.)

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1. წლიური მოხსენება მთავარ სამმართველოს მოქმედების შესახებ.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3. 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
4. წესდების ზოგიერთ მუხლის შესწორება.
5. მთავარ სამმართველოს დამატებით წევრთა და კანდიდატთა არჩევნები.

თუ დანიშნულ დროს კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვთა გამოუცხადებლობის გამო, განმეორებითი კრება მოხდება ერთი საათის შემდეგ, რომელიც თანახმად წესდების § 70 კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. 1452 2—2

## ქართულ სააქციო საზოგადოების „ოქროს-ვერძის" გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით 1920 წ. ივნისის 11-ს, № 1667, კვირას 1920 წლ. ივნ. 20-ს, დილის 11 საათზე, ქ. ფოთში, საზოგადოების განყოფილების ბინაზე (ლიალინსკის და მიხეილის ქ. კუთხე) დანიშნულია

## საზოგადოების აქციონერთა საგანგებო საზოგადო კრება

შემდეგი საკითხების განსახილველათ:

1. წარსულ საოპერაციო წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. დივიდენდის განაწილება.
3. საზოგადოების საქმის წარმოების დაყენება.

ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ კრებაზე დასწრებისა და ხმის უფლება ექნებათ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც წარმოადგენენ თავის აქციებს გამგეობაში ქ. ტფილისში, ან მის განყოფილებაში ქ. ფოთში ამა წლის ივნისის 18-მდე და კრების გათავებამდე უკან არ წაიღებენ. აქციების მაგიერ შეიძლება წარმოდგენილი იქნეს კვიტანციები ბანკების, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა (ქალაქის და ერობის გამგეობისა) ამ კვიტანციებში ნაჩვენები უნდა იყოს აქციების რაოდენობა, ნომრები და ღირებულება. 1453 3—1

## საქართრველოს სატრანსპორტო საზოგაეოების გამგეობა

ა ც ხ ა დ ე ბ ს,  რ ო მ

**საზოგადოების საწყობებიდან ყოველგვარი ქონება თავისუფლად იყიდება**

და მოსალოდნელია ზოგიერთი საქონელი კერძო პირებმა შეისყიდონ სავსებით და სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათათვის აღარ დარჩეს მათთვის საჭირო საგნები. ამიტომ გამგეობა აფრთხილებს აღნიშნულ დაწესებულებათ მათთვის საჭირო საგნები იყიდონ დაჩქარებით. ქონება იყიდება განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებულ გადაჭრილ ფასებში; დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ გამგეობის წევრის ი. მ. ჩიქოვანისაგან ყოველდღე, 11 საათიდან 1-მდე (რესპუბლიკის, ყოფილი პეტრე დიდის ქ., № 8). 643 2—2

### ოფიციალური განყოფილება

## განკარგულებანი

**სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგისა.**

21 მაისი, 1920 წ. № 63.

**მიენიჭოს:** ბათუმის ვაჟთა ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს გრიგოლ კონსტანტინეს ძეს შანიძეს საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება ქართულ ენაში და დამტკიცდეს ამ თანამდებობაზე 1920 წლის 1 მაისიდან.

19 მაისი, 1920 წ. № 64.

**მიენიჭოს:** სიღნაღის ოთხკლასიანი გიმნაზიის მასწავლებელს მ. ვ. ნადირაშვილს საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება მათემატიკასა და ფიზიკაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წ. 1 მაისიდან.

22 მაისი, 1920 წ. № 65.

**მიენიჭოს:** ქუთაისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მასწავლებელს გრიგოლ სოლომონის ძეს ხითარიშვილს საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება გერმანულ ენაში და დამტკიცდეს ამ თანამდებობაზე 1920 წლის 1 მაისიდან.

22 მაისი, 1920 წ., № 66.

**მიენიჭოს:** ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს გიმნაზიის მასწავლებელს ე. დ. აბდუშელი-

**ყველა იმ პირთ, რომლებსაც წარმოდგენილი აქვთ თხოვნები**

## სოციალურ დახმარებისათვის

უსათუოდ უნდა წარმოადგინონ მოწმობა სიღარიბისა და ნამსახურობის შესახებ. 645 3—1

შვილის ასულს საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება ფრანგულ ენაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წ. 1 მაისიდან.

2 ივნისი, 1920 წ., № 67.

**მიენიჭოს:** ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს პეტრე ჭაბუკიანს საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება გეოგრაფიაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლის 1 მაისიდან.

2 ივნისი, 1920 წ., № 68.

**მიენიჭოს:** თელავის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის მასწავლებელს ქ-ნ ზინობია მკევლიშვილს საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება რუსულ ენაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლის 1 მაისიდან.

განათლების მინისტრის ამხანაგი
**ნ. ცინცაძე.**

—

**მიწათ-მოქმედების სამინისტროსი.**

5 მაისი, 1920 წ., № 144.

**დაინიშნა:** მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილების კონტორის მოხელის თანაშემწედ მარიამ აბელის ასული ბაირამოვი ამა წლის 13 აპრილიდან.

4 მაისი, 1920 წ. № 145.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე ივანე დოცოვი 27 აპრილიდან 1920 წ.

4 მაისი, 1920 წ. № 146.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზოელის თანამდებობაზე ევსევი იაკოფის ძე მელიქიძე 27 აპრილიდან 1920 წ.

5 მაისი, 1920 წ., № 147.

**დანიშნულია:** მიხეილ ბესარიონის ძე ახალაძე სახელმწიფო მამულთა განყოფილების გამგეთ ამა წლის მაისის 1-დან.

6 მაისი, 1920 წ., № 148.

**ინიშნებიან:** სატაქსაციო ჯგუფის გამგე ა. ვ. რუდზიანსკი სატყეო-სატეხნიკო სპეციალისტის თანამდებობის აღმასრულებლად და ბ. ხ. ლანკი სატაქსაციო ჯგუფის გამგის თანამდებობის აღმასრულებლად.

30 აპრილი, 1920 წ., № 149.

**დათხოვნილია:** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სასოფლო მეურნეობის და სახელმწიფო განყოფილების სტატისტიკური ბიუროს მდივანი ანნა ტარასიუკინი ნაციონალიზაციის გამო ამა წლას 1 მაისიდან სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემით.

14 მაისი, 1920 წ., № 1.5о.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სამინისტროს ბუხჰალტერიის მოანგარიშე მ. ი. სულხანიშვილი, თანახმად თხოვნისა, ა. წ. 1 მაისიდან.

**ინიშნება:** ბუხჰალტერიის რეგისტრატორი ნ. ე. ჯაყელი მოანგარიშეთ ა. წ. 1 მაისიდან.

14 მაისი, 1920 წ. № 151.

**დათხოვნილია** თანამდებობიდინ და სრულიად სამსახურიდან საქართველოს რესპუბლიკის სასელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გამგე ვლადიმერ კაპიტონის ძე გაწერელია ამა წლის 1-ლ მაისიდან სალიკვიდაციო ჯილდოს მიუცემლათ.

**ინიშნება:** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გამგეთ სამსონ ივანეს ძე მაჭავარიანი ამა წლის 16 მაისიდან.

17 მაისი, 1920 წ. № 152.

**ინიშნებიან:** გ. დ. აბულაძე, დ. ა. ხმელოვი, ხ. ი. დათაშვილი, ნ. მ. ჯაფარიძე, ი. ვ. კოზმოვი, ა. ი. უჩანეიშვილი და ა. ე. ცინცაძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწეთა თანამდებობის აღმასრულებლად.

17 მაისი, 1920 წ., № 153.

**ინიშნება:** ლ. ბ. ჯაფარიძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად ა. წ. 3 მაისიდან.

17 მაისი, 1920 წ., № 154.

**დათხოვნილია:** თანახმად მისი თხოვნისა წყალთა სამმართველოს ტეხნიკი ა. ლ. პინუსი ამა წლის 1 მაისიდან.

### არა ოფიციალური განყოფილება

## საქონლის ჭირის საწინააღმდეგო აცრა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქონლის ჭირის საწინააღმდეგო აცრის შემდეგი ინსტრუქცია დაამტკიცა; ინსტრუქცია შედგენილია ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების მიერ.

საქონლის ჭირის საწინააღმდეგო აცრის დროს ექიმი-ვეტერინარები ხელმძღვანელობენ შემდეგი წესით:

1. დაჭირიანებულ პუნქტებზე ყველა საქონელს უნდა გაეზომოს სიცხე ტერმომეტრით და შესდგეს მოსახლეთა და მათი საქონლის კომლობრივი სია. სიის შედგენა იწყობა საღი მოსახლეებიდან (თუ საქონელი ინახება ეზოებში და ბოსლებში), ან საღი ნახირებიდან (თუ საქონელი საძოვარზეა)

2. საქონლის ჭირით აშკარად დაავადებულთაგან ირჩევა რამდენიმე ვარგისი ეგზემპლიარი აცრისათვის საჭირო სისხლის ამოსაღებად.

3. გამოყოფილი აშკარად ავადმყოფი და სიცხე-აწეული საქონელი აიცრება მხოლოდ ჭირის საწინააღმდეგო შრატით, თანახმად საშრატე სადგურის ჩვენებისა (ორმაგი დოზა).

4. დანარჩენი საღი საქონელი უნდა აიცრას შრატით და ჭირიანი სისხლით.

5. სოფლის ყველა მსხვილ-ფეხა რქოსანი საქონელი უნდა აიცრას უკლებლივ.

**შენიშვნა 1:** ნაწილობრივ აცრა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკმაო შრატი არ მოიპოვება და შესაძლებელია დანარჩენი საქონელის უზრუნველყოფა ჭირის გადადებისაგან.

**შენიშვნა 2:** თუ შრატი საკმაოდ მოიპოვება და დაავადებულ სოფელს მახლობელ სხვა სოფელთან აქვს მჭიდრო ეკონომიური კავშირი და, მაშასადამე, საშიშოა ჭირის გადატანა, უნდა მოხდეს რაიონული აცრა.

6. აცრილი საქონელი რჩება ვეტერინარ-სანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ და როდესაც რომელიმე აცრილს აღმოაჩნდება ნიშნები მძიმედ დაავადებისა (ფალარათი, აპკები („налетъ") ღრძილებზე, ტუჩებზე და ენის ძირზედ) მას განმეორებით მიეცემა შრატი ორმაგ დოზით.

7. თუ დაჭირიანებულ პუნქტებზედ თავიდანვე შემჩნეული იქნება ჭირის გარდა საქონლის დაავადება სხვა და სხვა პიროპლაზმოზებით, ადგილობრივ ჭირთან მებრძოლ აღმასრულელ კომისიას შეუძლიან შეცვალოს აცრის მეთოდი.

8. საქონლის ჭირის საწინააღმდეგო აცრა უნდა მოხდეს კომბინაციური მეთოდით; ჩაეშვება კან-ქვეშ ჭირიანი სისხლი (0,2—1,0 კუბიკური ცენტიმეტრი), მერე სადგურის მიერ განსაზღვრული შრატი. სისხლი უნდა მიეცეს მარცხენა გვერდში, შრატი—მარჯვენაში—ერთდროულად, ან და ერთი მეორის შემდეგ არა უგვიანეს ხუთი საათისა.

**შენიშვნა:** თუ ასაცრელია, მაგალითად, 100 სული საქონელი, თვითეულ მათგანს ჩაეშვე-

ბა კან-ქვეშ ჯერ შრატი, მერე სისხლი, შრატით აცრის შემდეგ საქონელი ინიშნება ფერადი საღებავით, რომ არ გამორჩეს აუცრელი; სისხლის ჩაშვების შემდეგ კი მკვიდრი დამღით.

7. ორივე აცრა ხდება აუცილებლად კანს ქვეშ და უნდა ნემსი არ შეესოს კუნთს, რადგანაც ამ შემთხვევაში შრატი მეტად ძნელად იბნევა სხეულში.

8. აცრის მთელი პროცესი უნდა ხდებოდეს დიდის სიფრთხილით და სისუფთავის დაცვით.

ამცრელებმა აცრის დაწყებამდე ხელების დეზინფექცია უნდა გაიკეთონ და, გარდა ამისა, თვით აცრის წარმოების დროს ხშირად გადივლონ ხელებზედ კარბოლის ხსნილი. შპრიცები, ნემსები და რეზინის მილები უნდა გაიწმინდოს და გაირეცხოს კარბოლის ხსნილში. შპრიცები, რომლებითაც სისხლს ვაძლევთ კან ქვეშ, და აგრეთვე ჭირიანი სისხლისათვის ქილა საკმარისია გამოიხარშოს 1—2 პროცენტიან სოდის წყალში ერთის საათის განმავლობაში, შრატით ასაცრელი შპრიცები კი საჭიროა აცრის წინ 12 საათის განმავლობაში ჩაიწყოს 3 პროცენტიან კარბოლის სიმჟავის ხსნილში.

შრატის ასაცრელად საუკეთესოა 50 და 100 გრამიანი შპრიცები, სისხლის ასაცრელად 10—20 გრამიანი. შრატის და სისხლის ჩაშვებამდე საჭიროა გავსებულ შპრიცებიდან ჰაერის გამოშვება.

9. შრატს შერეული აქვს 0,25—0,5 პროცენტიანი კარბოლის სიმჟავე და წარმოადგენს სრულიად უვნებელს სითხეს, რომელშიაც არ მოიპოვება არც ბაქტერია, არც სხვა ჭუჭყი. იგი ოდნავ შემღვრეულია, მოყვითალო ან ოდნავ მოწითალო ფერისა და მოსჩანს შიგ მოცურავე აბლაბუდის მაგვარი ნივთიერება—ეს სისხლის შედედებული ცილოვანი ნივთიერებაა.

შრატის ჭურჭელზედ აღნიშნულია დოზა საქონლისათვის და აგრეთვე თარიღი შრატის დამზადებისა და მის გამოცდისა.

შრატი უნდა ინახებოდეს ბნელს და გრილ ალაგას.

10. შრატით სავსე ბოთლები უნდა ხმარების წინ გაიწმინდოს, გაეცალოს მტვერი და გაივლოს კარბოლის სითხეში. შრატის ბოთლები ხმარების დროს არ უნდა შეინჯღრას, რადგანაც შეიძლება ლექი გაიკვეხოს აცრის დროს ნემსებში და შეაჩეროს მუშაობა. ბოთლებში დარჩენილი დალექილი შრატი ხმარების წინ სჯობია გაიწუროს ორფად მოკეცილ კარბოლიან დოლბანდში.

გახსნილ ბოთლებს პირზედ უნდა წაეფაროს კარბოლიანი ბამბა, რომ მტვერი არ ჩავიდეს, ბოთლებიდან შრატი ამოიღება რეზინის მილების საშუალებით, რომლის ერთი წვერი წამოცემული აქვს შპრიცის წვერს, მეორე წვერი-კი ჩაშვებულია ბოთლში.

11. აცრის წარმოების დროს საჭიროა როგორც ნემსების, აგრეთვე შპრიცის ხშირი ამოვლება კარბოლის ხსნილში.

12. შრატის კან-ქვეშ ჩაშვება ხანდისხან იწვევს ადგილობრივად სიმსივნეს, რომელიც ჩქარა ცხრება.

13. აცრისთვის საჭირო ჭირიანი სისხლი გამოეშვება ჭირიან საქონელს იმ დროს, როდესაც დაავადება მას უმაღლესს წერტილამდე აქვს განვითარებული, დაახლოვებით მესამე დღეს ჭირის აშკარად შემჩნევიდან. (სიცხე 40 გრადუსი და მეტი).

14. აცრისთვის საჭირო სისხლი უნდა გამოუშვათ იმისთანა ავადმყოფ საქონელს, რომელიც ჭირის გარდა დაავადებული არ არის სხვა გადამდებ სენით (თურქულით, ფილტვების ანთებით, ჯილეხით, მალარიით და სხვა). ამიტომ აუცილებლად საჭიროა სისხლის გამოშვების შემდეგ საქონელი დაიკლას და გაიშინჯოს მისი შიგნეულობა.

15. სისხლის გამოშვება ხდება კისრიდან ამ გვარად: უნდა მოიპარსოს ან გაიკრიჭოს ბალანი იმ ალაგას, საცაა საუღლე ვენაა. მერე ეს ალაგი გაიბანოს საპნით და კარბოლის ხსნილით; სისხლის გამოსაშვები ნემსი ზედ-წამოცმულ რეზინის მილით შეესვას ვენაში, წვერით თავისკენ, ქვეშ შეედგას ჭურჭელი (საუკეთესოა შუშის ქილა), რაშიაც გროვდება სისხლი; ამავე დროს ეს სისხლი უნდა ითქვიფოს შუშის ჯოხით, რომ ფიბრინი გამოეცალოს, რის შემდეგაც გათქვეფული სისხლი იწურება სუფთა დოლბანდში.

ფიბრინ-გამოცლილი და დოლბანდში გაწურული ჭირიანი სისხლი ჩაისხმება პატარა ჭურჭლებში, საიდგანაც პირდაპირ ვავსებთ შპრიცებს და ვუცრით საქონელს.

16. ჭირიანი სისხლი თავის თვისებებს არ კარგავს 48 საათის განმავლობაში, თუ რასაკვირველია მის გამოშვების და გადაღების დროს იქნა მკაცრად დაცული სისუფთავე და აგრეთვე თუ მას შევინახავთ ბნელს და გრილს ალაგას. სიცხიან დღეებში შეიძლება მისი შენახვა მხოლოდ 24 საათი.

17. ხმარების წინ ჭირიანი სისხლი კარგად უნდა იქნას შენჯღრეული ბოთლში.

18. ყოველ შპრიცის მოხმარების შემდეგ და ხელ-ახლა მის ავსების წინ ასაცრელი ნემსი იწმინდება სუფთა ბამბით. ამ შემთხვევაში სადეზინფექციო სითხეების ხმარება არაა სასურველი, რადგანაც შესაძლებელია ჭირიან სისხლის დასუსტება და სრულიად გაუვარგისება.

19. აცრის შემდეგ ერთს ნაწილს აცრილ საქონლისას სულ არ აჩნდება ჭირი, მეორე ნაწილი სუსტად ხდილობს, ამათ ემჩნევათ ოდნავ სიცხე და მოწყენილობა, ხოლო მესამე ნაწილი აშკარად ხდება ავად ჭირით და ზოგიერთები იხოცებიან კიდევაც.

20. აქ ჩამოთვლილი დარიგების გარდა, უნდა აუცილებლად ვიხელმძღვანელოთ დოზების შესახებ იმ სადგურის დარიგებებით, რომლის მომზადებულ შრატით ვაწარმოებთ აცრას.

21. დაჭირიანებულ პუნქტებზედ, სადაც სწარმოებს აცრა, როგორც ჭირის მოსასპობი ზომა, ძალაში რჩება ყველა სხვა ჭირის საწინააღმდეგო ზომები, კანონით ან სავალდებულო დადგენილებებით დაწესებული: კარანტინი, საქონლის და მის დაუმუშავებულ ნედლი მასალის გატანის აღკრძალვა და სხვა.

22. სოფლები ან საძოვრები და სხვა, სადაც ჭირის საწინააღმდეგო აცრა მოხდა, განთავისუფლდებიან კარანტინისაგან 14 დღის შემდეგ რეაქციის გათავებიდან, ან ჭირით უკანასკნელად დაავადებულ საქონლის სიკვდილიდან.

23. ექიმი-ვეტერინარები მოვალენი არიან წარმოუდგინონ მიღებულ ფორმით საერობო გამგეობას და შ. ს. სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას ცნობები აცრის წარმოების, საქონლის ჭირის მიმდინარეობის და საზოგადოდ ეპიზოოტათა მსვლელობის შესახებ.

# განათლების სამინისტროში

### საყოველთაო სავალდებულო უფასო სწავლა.

თანახმად მთავრობის მიერ დამტკიცებულ სამინისტროს გეგმისა საყოველთაო სავალდებულო უფასო სწავლა რესპუბლიკაში რვა წლიანია.

1920 წ. ამ გეგმით გახსნილია 156 დაწყებითი სკოლის პირველი განყოფილება, რომელთაც 20—21 წლ. ამდენივე განყოფილება ემატება, იმავე 20—21 წლისათვის გაიხსნება 179 სკოლა 204 კომპლექტით. სულ რესპუბლიკაში 20—21 წ. აღრიცხულია 1891 სკოლა 4254 კომპლექტით და 151 უმაღლეს დაწყებითი.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელება დასრულდება 1923 წელს.

### ახალი საოსტატო სემინარიები.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელება მოითხოვს მომზადებულ მასწავლებელთა ყოლას. ამ მიზნით წლის განმავლობაში გახსნილია ორი საოსტატო სემინარია: სენაკის და ბოდბის (გადაკეთებული საოსტატო სკოლიდან) 20—21 წლ.

იხსნება სემინარიული კლასები თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ზესტაფონის და ონის გიმნაზიებთან.

### მოკლე ვადიანი საპედაგოგიო კურსები.

ამავე მიზნით, დროებით, სანამ საოსტატო სემინარიათაგან გამოსული მასწავლებელთა საკმაო რიცხვი გვეყოლება, სამინისტრომ რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილას: ეკატერინოფელდში—მუსულმანთათვის და ბერძენთათვის, ზესტაფონში, ცაგერში, რაჭა-ლეჩხუმისათვის, მურშაყანში. მოაწყო მოკლე ვადიანი სამასწავლებლო კურსები, სადაც სწავლობენ უმაღლეს დაწყებითი ან თანაბარ სასწავლებელში კურს დამთავრებულნი.

### სკოლის გარეშე განათლება.

ამავე დროს სამინისტრომ საჭიროდ დაინახა ბრძოლა წერაკითხვის უცოდინარობასთან: ამ მიზნით რესპუბლიკის დაბა-ქალაქებში მოაწყო საკვირაო სკოლები, სადაც სკოლის ასაკს გადაცილებულნი წერა კითხვას სწავლობენ, ხოლო წერაკითხვის მცოდნენი იძენენ ცოდნას სხვა და სხვა საგანში.

ამგვარი სკოლები ეწყობა თითქმის ყველა არსებულ სასწავლებელთან ამავე მიზნით ზოგან გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი (ხაშური), ზოგან არსებული გაფართოვდა.

ამ საგნისათვის გადადებული სამი თვით 2 მილიონი მან. სამინისტრომ უკვე გაანაწილა ერობათა და ქალაქთა შორის, რომელთა უშუალო გამგებლობაში იმყოფება საკვირაო სკოლები.

20—21 წლ. სკოლის გარეშე განათლებისათვის გადადებული ათი მილიონი მან.

ამავე დარგს ეკუთვნის სკოლის წინასწარი აღზრდა და საბავშვო ბაღების მოწყობა.

განათლების სამინისტროს ამ საგანზე ჰქონდა მიწერ-მოწერა მილანის ჰუმანიტარულ საზოგადოების დირექტორთან, ცნობილის პედაგოგის მონტესორის სისტემით სანიმუშო საბავშვო ბაღის მოწყობისა და მისთვის საჭირო კოლექციებისა და ხელსაწყოთა დაკვეთის შესახებ.

სამინისტროს წარმომადგენელი უკვე გაემგზავრა იტალიაში აღნიშნულ ხელსაწყოთა ჩამოსატანად დ აგრეთვე ინსტრუქტორ-ხელმძღვანელის ჩამოსაყვანად.

# ფინანსთა სამინისტროში

### ფინანსთა მინისტრის საბჭოში

11 ივნისს ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომა შესდგა. ამ სხდომაზე შემდეგი საკითხები განიხილეს: 1) გააფართოონ 1919 წ. 30 ივლისში ყურძნის ღვინის შესახებ გამოცემულ კანონის მოქმედების რაიონი. საბჭოს წევრის ვ. კოზლოვსკის მოხსენების შემდეგ საბჭომ დაადგინა გადაეცეს ეს საკითხი დეტალურ განსახილველად საგანგებო კომისიას, რომელშიაც შევლენ ფინანსთა სამინისტროს, სააქციზო უწყების, მიწათ-მოქმედების სამინისტროს, სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ქალაქთა კავშირის და მეღვინეობის და ღვინის მკეთებელთა წარმომადგენლები. 2) დააწესონ განსაკუთრებული გადასახადი იმ პირთათვის, რომელთაც არ აქვთ საქართველოში არც სავაჭრო და არც საწარმოო მუდმივი დაწესებულება და რომლებსაც მხოლოდ შემოაქვთ და გააქვთ საქონელი საზღვარ-გარეთ განზრახულია ეს პროექტიც შემდეგი განხილვისათვის განსაკუთრებულ კომისიას გადაეცეს, რომლის შემადგენლობაში მომარაგების სამინისტროს, საბაჟო უწყების და აქციზის შემკრებ სამართველოს წარმომადგენლები შევლენ.

### მრეწველობა და წარმოება საქართველოში.

ივნისის 20 რიცხვებში გამოვა სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჟურნალი მრეწველობა და ვაჭრობა საქართველოში" ამასთან ერთად სავაჭრო-სამრეწველო პალატა ყოველდღიურათ სავაჭრო-სამრეწველო ბიულეტენებსაც გამოუშვებს.

# მიწათ-მოქმედების სამინისტრო

### 20-მილიონის განაწილება.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გამოარკვია, თუ როგორ იქნა განაწილებული ის 20 მილ. მან., რომელიც დამფ. კრებამ სათეს მასალის სასყიდლად გადასდვა დარომლითაც დახმარება უნდა აღმოეჩინათ სიღნაღის, თელავის და ბორჩალოს მაზრის მცხოვრებლებთათვის. ამ 20 მილ. ანგარიშში 4.853,695 მან. მიეცა სესხის სახით ერობებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და 20.004.034 მან. კი იქნა შესყიდული 43093 ფუთი სათესი მასალა და ერობების საშუალებით მცხოვრებლებს დაურიგდა. სულ სათესი მასალის მოწოდებით დახმარებას აღმოსაჩენად 24.857,524 მან. დახარჯულია. ამ თანხიდან 20.000,000 მან. მიღებული იყო დამფ. კრ. დეკრეტებით, დანარჩენ თანხით კი მომარაგების სამინისტროს საშუალებით სათესი მასალა იყო მიღებული სესხის სახით. ამ ჟამად მიწათ-მოქმედების სამინისტროში სპეციალური კომისია არის მოწვეული იმის გასახილველად, თუ როგორი დახმარება უნდა აღმოუჩინონ მცხოვრებთ შემდეგში.

### სიმინდი მცხოვრებთათვის.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ მთავრობას მოხსენება წარუდგინა 10 მილ. მან. მიცემის შესახებ, რომლითაც სამინისტროს სურს საადრო სიმინდის შესყიდვა და ერობის საშუალებით მცხოვრებთათვის დარიგება იმ რაიონებში, რომლებიც ძლიერ დაზარალდენ სეტყვით და წვიმებით. მიწათ-მოქმედების სამინისტრო თავის მოხსენებაში აღნიშნავს სეტყვით და წვიმებით მიყენებულ ზარალს, ერობების წინადადებით დაზიანებულ ადგილების დასათესად საჭირო იქნება სულ 20 ვაგონი საადრო სიმინდის თესლი. მიწათ-მოქმედების მინისტრი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ახლავე შეუდგენ ყანების სიმინდით დათესვას და რომ დახმარება უეჭველად საჩქაროდ უნდა იქნას აღმოჩენილი.

# სამხედრო ცნობა

### ტფილისი, ივნისის 14.

ცხინვალის მიმართულებით 12 ივნისს გათენებისას ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. მტერმა მთელი ფრონტზე უკან დაიხია. საღამოს ჩვენ ცხინვალისა და სოფ. ვანათის ჩრდილოეთით მყოფი სიმაღლეები ავიღეთ. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვევლები და წამოვიყვანეთ ტყვეები, შეტევა გრძელდება. დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარეა.

# ზავი აზერბეიჯანთან.

12 ივნისს საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის ზავი შეიკრა. საზავო ხელშეკრულება უნდა დაადასტუროს, დამფუძნებელმა კრებამ 2 კვირის განმავლობაში. ხელშეკრულების ტექსტი უკვე გადაეცა დამფუძნებელ კრებას.

### საქართველოს დელეგაციის განცხადება.

საქართველოსა და აზერბეიჯანის საზავო დელეგაციების სხდომაზე საქართველოს დელეგაციამ სხვა განცხადებათა შორის შემდეგი განცხადება გააქეთა:

1) ამიერ-კავკასიის ცენტრში, ტფილისში, საქართველოს რესპუბლიკის დედა ქალაქში, ამ უკანასკნელის მთავრობასთან გამოგზავნილ იყვნენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები. ამ მისიებსვე ცალკ-ცალკე პირთა სახით მინდობილი ქონდა წარმომადგენლობა თავისი მთავრობისა ამიერ-კავკასიის ხვა რესპუბლიკებშიც— აძერბეიჯანისა და სომხეთში. აღნიშნულ სახელმწიფოთა ზოგი წარმომადგენელნი, როგორც მაგ. დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და პოლონეთის, რომელნიც წარმოგზავნილი იყვნენ საქართველოს მთავრობასთან და გადატრიალების დროს ბაქოში მოხვდენ, აძერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტურ მთავრობის განკარგულებით დაკავებულნი არიან.

სთვლის რა იმ პირთა დატყვევებას, რომელნიც საქართველოს მთავრობასთან იყვნენ წარმოგზავნილნი რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებზე ხელის აღებათ, საქართველოს მთავრობა ფიქრობს, აძერბეიჯანის ს. საბჭ. რესპუბლიკა არ დააყოვნებს შეცდომის გასწორებას და სათანადო განკარგულებას გასცემს ზემო აღნიშნულ პირთა განსათავისუფლებლად.

2. აძერბეიჯანის ს. სოც. რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის შესაკრავ ზავის გამო საქართველოს დელეგაცია თავის ვალდებულად სთვლის თავის ხალხისა და მეზობელ რესპუბლიკათა წინაშე შემდეგი განაცხადოს: აძერბეიჯანსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ხალხის მშვიდობიანი და ნორმალური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ამიერ - კავკასიის სრული მშვიდობიანობის დროს. არ შედის რა იმის გარჩევაში, თუ რომელი მხარეა აგრესიული, საქართველოს დელეგაცია რჩება რა მუდამ ერთგული თავისი მუდმივი მშვიდობიანობის მოყვარულ პოლიტიკისა, აცხადებს ყველა აუცილებელ საჭიროებად მშვიდობიან გადაჭრას ყველა კონფლიქტისას, რომელიც აძერბეიჯანსა, სომხეთსა და საქართველოს შორის მოხდება. კონფლიქტების მშვიდობიანათ გადაჭრა მოხდება ან საერთო და ან სეპარატიულ კონფერენციების საშუალებით. აძერბეიჯანსა და სომხეთს შორის არსებულ სადავო საკითხების გადაჭრა იარაღით, ემუქრება საერთო ზავს, ამიერ-კავკასიის წონასწორობას და შეუძლია შეარყიოს ის დებულებანი, რომლებიც საქართველოსა და აძერბეიჯანს შორის დაიდო. რესპუბლიკის მთავრობა იმედს გამოსთქვამს, რომ აძერბეიჯანის საბჭოთა სოც. მთავრობა თავის მხრივ ყოველგვარ ღონეს ხმარობს სომხეთ-აძერბეიჯანის სადავო საკითხთა გადასაწყვეტათ.

# შრომის სამინისტროს კანონ-პროექტი.

შრომის სამინისტრო თავის პროექტში აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მუშების და მოსამსახურეების მატერიალური მდგომარეობა, მიუხედავათ მთელი რიგ-ზომების მიღებისა, მაინც დაუკმაყოფილებელია. მთავრობის საერთო ეკონომიურმა პოლიტიკამ და კერძოთ შრომის სამინისტროს მიერ მიღებულმა ზომებმა მოახდინეს თავისი გავლენა, რომელიც სიძვირის შეჩერებაში და რეალურ სამუშაო

ხელფასის გადიდებაში გამოიხატა, მაშინ, როდესაც შარშან სიძვირე ყოველთვიურად ერთბაშად 30—40°/₀ °/₀ იმატებდა მიმდინარე წლის იანვრიდან ეს მომატება უკვე ნორმალური გზით მიდის, იგი არ აღემატება 10—15°/₀°/₀. მომარაგების მიზანშეწონილმა ორგანიზაციამ საშუალება მოგვცა ჯამაგირების მომატებისათვის ხშირად არ მიგვემართა. უკანასკნელი მომატება მოხდა პირველ იანვარს ე. ი. 5 ½ თვის წინეთ. არის რწმენა, რომ თუ მომავალშიაც მტკიცეთ გავატარებთ ცხოვრებაში იმავე ეკონომიურ პოლიტიკას, როგორსაც უკანასკნელ თვეებში ვატარებდით მუშების მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდება და არ დაგვჭირდება იმ ფულის ნიშნების რიცხვის გადიდება, რომელსაც ამ ჟამად ეს მუშები იღებენ მაგრამ ამ ჟამად დგება ხანმოკლე მძიმე პერიოდი ახალი მოსავლის მოლოდინში. მუშების და მოსამსახურეების უმეტესობა დაკავშირებული არიან სოფელთან, და ამ ჟამად მათ არ აქვთ შეძლება მათთვის ხელმისაწდომ ფასებში მიიღონ სოფლად პური და სიმინდი. ის ულუფა კი, რომელსაც იღებენ მუშები მომარაგების ფონდიდან, მართალია საგრძნობია, მაგრამ მაინც საჭიროებს შევსებას. პატარა სამუშაო ხელფასი არ აძლევს მათ საშვალებას ბაზარზე იყიდონ ყველაფერი ის, რაც მათ სჭირია. აუცილებელია ამიტომ ერთდროული დახმარება, მით უმეტეს, რომ დგება ზაფხული და მუშების და მოსამსახურეების უმეტესობას უნდა დასვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავენ შრომის უნარს და ნაყოფიერებას. ასეთი დახმარება მით უმეტეს სჭირდება სახელმწიფო მოსამსახურეებს და მუშებს, ვინაიდან მათი ჯამაგირები უფრო მცირეა, ვიდრე იმ მოსამსახურეების, რომელიც კერძო ან საზოგადო დაწესებულებებში მსახურობენ. სახელმწიფო მოსამსახურეები და მუშები უწევდენ რა ანგარიშს რესპუბლიკის საერთო მდგომარეობას ურიგდებოდენ პატარა ჯამაგირებს, რომლის მინიმუმი ტფილისში უდრიდა დაახლოებით 2000 მან. პროვინციაში კი 1500 მან., მაგრამ ჯამაგირების მომატება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან იგი გამოიწვევს ცხოვრების საერთო გაძვირებას და უფრო გააუარესებებს მდგომარეობას. ერთდროული დახმარება მოსამსახურეებს და მუშებს უსათუოდ უნდა აღმოეჩინოს. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობის თანხის მიცემაში, მაგრამ არა უმეტეს 3000 მან. ვინაიდან საშუალო ჯამაგირი რესპუბლიკაში 3000 მან. უდრის. ეს დახმარება საჩქაროდ უნდა მიეცეს ყველა ტფილისის და პროვინციის სახელმწიფო მოსამსახურეებს და მუშებს. დახმარების მისაცემად 90 მილ. მან. დასჭირდება, ვინაიდან არსებულ ცნობების თანახმად სულ მოსამსახურეების და მუშების რიცხვი, რომელნიც სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობს, 31000 კაცს უდრის.

# უცხოეთი

### მღელვარება ისპანიაში

მადრიდიდან იტყობინებიან რომ იქ სიძვირის და პურის კრიზისის ნიადაგზე მღელვარება მომხდარა. მღელვარებაში ყველაზე დიდი როლი ქალებმა ითამაშეს, მათ მთელი მანიფესტაციებით და მოწოდებებით მიმართეს ხალხს. მანიფესტაციების და ჟანდარმერიის შორის მოხდა შეტაკება. ქალაქი მადრიდი გამოცხადებულია სამხედრო წესებში.

### ჩეხო-სლოვაკიაში

ჩეხო-სლოვაკიის დეპუტატთა პალატაში არჩეულია დეპუტატად თორმეტი ქალი.

### ამერიკა და საბერძნეთი

ვაშინგტონიდან იტყობინებიან რომ სენატმა მიიღო ლოლის რეზოლიუცია, რომლის ძალით საბერძნეთს უნდა ჩაბარდეს სამხრეთ ეპირი, გორიცი და დასავლეთ მცირე აზიის თორმეტი კუნძული.

### ამერიკა და მეორე ინტერნაციონალი

ამერიკის სოციალისტურ პარტიას გადაუწყვეტია მიიღოს მონაწილეობა ჟენევის კონგრესში.

### ავსტრიის სამხედრო ტყვეები

ავსტრიის ნაციონალურმა საბჭომ მიმართა ხალხთა ლიგას, რათა მან ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას რომ ამ ჟამად რუსეთში იმყოფება ავსტრიის 120 ათასი ჯარის კაცი ტყვედ და ხელი შეუწყოს ამ ტყვეების სამშობლოში დაბრუნებას.

### ციმბირში

საბჭოთა რუსეთის გაზეთების ცნობით ქ. ომსკში გახსნილა სამხედრო-სარევოლიუციო ტრიბუნალის კრება. კრება არჩევს ადმირალ კოლჩაკის ყოფილ მთავრობის წევრების მოქმედებას. ბრალმდებულთა სკამზე ზის ოცდაოთხი კაცი.

### „პოალეი ციონ“ ის კომუნისტები

როსტოვში დაარსდა ახალი კომუნისტური საოლქო კომიტეტი სახელად „პოალეი-ციონ“ -კომუნისტებს მოწოდებით მიუმართნიათ შემდეგ ქვეყნის კომუნისტებისათვის: დონის, ყუბანის, საქართველოს, თერგის, აზერბეიჯანის და სომხეთისთვის.

### მენშევიკების დაპატიმრება როსტოვში.

როსტოვიდან იტყობინებიან, რომ იქ დონის კომიტეტს მენშევიკთა პარტიის ლიდერები: ვასილიევი, ლოკერმანი, ზაიჩიკი, მელსიტოვი, ვილიანერი, პლესკოვი და გურევიჩი ბალშევიკებს დაუპატიმრებიათ.

### საბჭოთა ბაქოში.

ბაქოს ჩრეზვიჩაიკებს დაუპატიმრებიათ ბაქოში ცნობილი საზოგადო მოღვაწენი: ბელიაევი და ზარნიცკი.

# დეპეშები

### (საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

### ფრანგული პრესა

გენერალ გუროს თხოვნით სენეგალის ჯარის ბრიგადა აღმოსავლეთში გააგზავნეს.

უმაღლესი საბჭო ამზადებს კითხვების ფურცელს, რომელსაც გადასცემენ კრასინს მანამდის, სანამ მას მოუსმენენ.

იტალიის მეფემ დაავალა ჯიოლიტს ახალი კაბინეთის შედგენა.

ავსტრიის ეროვნულ ყრილობაში უკანასკნელ კამათის შემდეგ კანცლერი რენნერი და კაბინეტი გადადგა.

ელჩთა კონფერენცია პარასკევს შესდგა. კონფერენციამ განიხილა კოლექტიური პროექტი ნოტისა გერმანიის მიერ ვერსალის ხელშეკრულების 264-267 მუხლის დარღვევის გამო, რომელიც კომერციულ თანასწორობას გულისხმობს.

პარასკევს, ვენიზილოსი იტალიიდან ჩამოვიდა პარიზში, რათა ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას დაესწროს.

კანცლერ მილერისა და დამოუკიდებელთა ლიდერის კრისპინის მიერ დაწყებულმა მოლაპარაკებამ არავითარ შედეგებს არ მიაღწია.

იტალიის გაზეთების ინფორმაცია ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჯიოლიტი შეადგენს სამინისტროს, რომელშიც უმეტეს ნაწილად ისეთი ელემენტები შევლენ, რომლებიც მოკავშირეთა მხარეზე ომში ჩარევის მომხრენი არიან.

შაბათს შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღო საფრანგეთის მთავარი ქალაქების მოურავთა კავშირის მრავალ რიცხოვანი დელეგაცია—შინაგან საქმეთა მინისტრმა თავისი და მთავრობის სახელით პატივის ცემით მოიხსენია მოურავთა ფართე შრომა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. მან სთქვა: მთავრობა ფიქრობს თემების ფინანსიურათ უზრუნველყოფის შესახებო. კერძოთ მას შესაძლებლად მიაჩნია გაუყოს თემებს სახელმწიფო გადასახადის ნაწილები და გაატაროს კანონი, რომელიც მათ ნებას მისცემს მცხოვრებთ ახალი გადასახადები დაადოს.

**მოსკოვი.** ივნისის 13. კიევის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მტერს უკან შემოუარეს და კიევ—კოროსტენის რკ. გზა დაიკავეს. ბერდიანკა—ტეტერევის ნაწილში ჩვენი ჯარები დნეპრზე ბრძოლით გადასავლის შემდეგ კიევში შედიან. ვასილკოვთან ჩვენ მიერ დამარცხებული მოწინააღმდეგე ჩრდილო დასავლეთით მიმართულებით გარბის და „ობოზებს“ სტოვებს ყირიმის მიმართულებით შევაჩერეთ ვრანგელების ჯარის შემოტევა.

**ეკატერინოსლავი.** იან. 4. ეკატერინოსლავის საბჭომ დაადგინა მობილიზაცია გაუკეთოს საბჭოს წევრთა ერთ მეხუთედი პოლონეთის ფრონტზე გასაგზავნად. მობილიზაცია ხდება აგრეთვე მთელ გუბერნიაში.

მილიერანმა დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში განაცხადა, რომ მანდატი მთელ სირიაზე სასურველი არ არის, რადგან სირიის მცირე ნაწილი აინტერესებს საფრანგეთის (დამახინჯებულია)... ევროპას სურს, რომ შეერთებელმა შტატებმა მიიღოს სომხეთის მანდატი, რადგან ეხლანდელი სომხეთი დანგრეული და განადგურებული მოითხოვს იქ ყოფნას იმ ჯარისას, რომელიც თათრებისაგან დაიცავს.

გერმანიის ოფიციალური ნოტა იუწყება, რომ მისი ჯარის 200,000 კაცამდე მიყვანის საქმე უკვე დასრულდა.

ავიატორი როჟე ვარშავაში მივიდა.

### გერმანული პრესა.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან: პოლონელები ემზადებიან ბოლშევიკების წინააღმდეგ ახალ შესატევათ. სრულიად უკუგდებულია კიევიდან და ადესიდან გასვლის გეგმა. მარშალ პილსუდსკის გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ შეარყიოს ტროცკისა და ლენინის მთავრობის საფუძველები წითელი ჯარის დამარცხებით და შემდეგ მიმართოს ინგლისს თხოვნით, რათა მან შუამდგომლობა გასწიოს მოსკოვსა და პოლონეთს შორის ზავის ჩამოსაგდებათ იმ პირობით, რომ ამ ზავის პირობები სასარგებლო იქნეს პოლონეთისა და უკრაინისათვის.

# ახალი ამბები

**ზავი.** ივნისის 12-ს 22 საათზე ჩვენმა დელეგაციამ აზერბეიჯანთან ზავს ხელი მოაწერა.

**იუსტიციის მინისტრის დაბრუნება.** ტფილისში დაბრუნდა იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე, რომელიც წასული იყო სამსახურის გამო, და რომელსაც თან ახლდა სასამართლოს პალატის პროკურორი ნ. ტატიშვილი.

**ფრონტის სასარგებლოდ.** ნავთლუღის სამხედრო ლაზარეთის მოსამსახურეებმა და მუშებმა თავის საერთო კრებაზე დაადგინეს გადსდონ ფრონტის სასარგებლოთ დღიური ხელფასი და სალამო გამართონ, რომლის წმინდა შემოსავალი გამოყენებული იქნება ჯარისკაცთათვის საჩუქრების შესაძენათ.

**გადასახადი შემოსავლის კვალობაზე.** შემოსავლის კვალობაზე გადასახადის არსებული საგუბერნიო სამმართველო შეუდგა იმ საჩივრების განხილვას, რომლებიც შემოტანილია გარდამხდელებისაგან უბნის სამმართველოთა მიერ. გადასახადის შეწერაზე 25 ივნისს ყველა საჩივარი იქნება განხილული.

**სახელმწიფო შემოსავალი.** თანახმად ფინანსთა სამინისტროს ცნობებისა პირველ იანვრიდან 1920 წლის პირველ მაისამდე სახელმწიფო ხაზინაში ფოსტიდან და ტელეგრაფიდან სულ 16,840,500 მან. შემოსულა. ამ რიცხვებით ფოსტის შემოსავალი 3897172 მან. უდრის, ტელეგრაფის 9,954,292 მან., ტელეფონის კი 2,105,421 მან. თვით ფოსტის შემოსავალი სამი მუხლიდან შესდგება: 1) შემოსავალი მარკებზე, კონვერტებზე, ბლანკებზე და სხვ. 3,793,359 მან.; 2) საერთაშორისო ფოსტის გადაცემიდან 57905 მან.; 3) პერიოდულ გამოცემებზე 45908 მან. სამხედრო გადასახადმა შეადგინა 378565 მან. თანხის დაბრუნებიდან და სხვა წვრილმანი შემოსავალი უდრის 7000 მან.

**ქალაქის უძრავ ქონების დაბეგვრა.** ამ დღეებში შესდგება ქალაქთა უძრავ ქონებაზე გადასახადის გამწესებულ საგუბერნიო სამართველოს სხდომა.

**ხარჯთ-ამკრებ უბნების რევიზია.** გადასახადთა სამართველოს უფროსმა ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორებს გაუგზავნა ცირკულიარი ხარჯთ-ამკრებ უბნების იმ რევიზიის შედეგების შესახებ, რომელიც მაზრაში მოხდა. ამ ცირკულიარში სამართველოს უფროსი აღნიშნავს, რომ ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორთა კანცელარიებში საქმე საერთოდ დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

**დახმარებ. მუშათა კლუბს.** პროფ. კავშირების საბჭოს სეკრეტარიატმა დაადგინა მისცეს 30.000 მან. მუშების ცენტრალურ კლუბს საზაფხულო სეზონის გასახსნელად.

**მელითონეთა კავშირი.** შრომის მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით შესდგა მომრიგებელ კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა მელითონეთა კავშირის განახლების საკითხი. გადაწყდა კავშირის ყველა წევრის რეგისტრაციის შემდეგ კავშირის მოქმედება განაახლონ.

**რუსულ საბჭოს სახელის შეცვლა.** ტფ. გენ.-გუბერნატორის წინადადებით „ამიერკავკასიის რუსულ ეროვნულ საბჭოს“ დღაიდან დაერქმევა „რუსული ეროვნული საბჭო საქართველოში“.

**სალამი სახალხო გვარდიას.** პროფეს. კავშირის ცენტრალურ საბჭომ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „პროფ. კავშირთა წარმომადგენლების საგანგებო თათბირი უძღვნის გულწრფელ სალამს რევოლიუციონურ გვარდიას, რომელიც იცავდა და იცავს საქართველოს დამოუკიდებლობასა და რევოლიუციის მონაპოვარს. თათბირი მიესალმება ფრონტზე მყოფ გვარდიელთ, რომლებიც გმირულად იცავენ თავისუფლებას გარეშე მტრისაგან. თათბირი დარწმუნებულია, რომ სახალხო გვარდია, რომელსაც ამაყად ეპყრობა და უპყრია თავისუფლების წითელი დროშა შესძლებს უხეში ძალის დამხობას. მუშათა კლასი დაცულია ფრონტის რკინის რგოლით.

# ერობა

### მედიკამენტის დამზადება.

ერობათა კავშირში აღძრულია საკითხი ერობის მედიკამენტების ცენტრალურ საწყობის მოწყობის შესახებ. ზოგიერთი ერობა უკვე შეუდგა წამლის მცენარეების შეკრებასა და გახმობას. სამაზრო ერობებმა საკითხი აღძრეს ერობათა კავშირში თავისივე ძალებით მედიკამენტების დამზადების შესახებ. ამიტომ განზრახულია ერობათა კავშირითან დაარსონ ცენტრალური მფარველობა, რომელიც გაუძღვება მედიკამენტების დამზადებისა და განაწილების ყველა საქმეს. განზრახულია ლაბორატორიების ორგანიზაცია, დამზადება სპირტისა და წამლისათვის საჭირო მცენარეულობისა, რომლითაც ასე მდიდარია საქართველოს ბუნება.

### ტეხნიკური ძალთა ბიურო.

ერობათა კავშირის ტეხნიკურმა განყოფილებამ დაარსა ტეხნიკურ ძალთა ბიურო სამაზრო-ერობების ტეხნიკურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ტეხნიკურ განყოფილებისმიერ გაღებულია ტეხნიკური, საშენებელ და მასალათა საწყობები, შესაკეთებელი სახელოსნოები, საპნის ქარხანა და სხ. სახელმწიფო ფარგალში მოწყობილია თივის დამზადება, რომლისათვისაც უკვე 25 მილ. მან. დახარჯულია. ამ ჟამად ბადიაურის რაიონში კეთდება დიდი წისქვილი, რომელსაც დაათავებენ ოქტომბრისათვის.

### ბაზრის ფასები.

სავაჭრო-სამრეწველო ცნობების მიხედვით ბაზარზე შემდეგი თავისუფალი ფასებია სურსათსე: შაქარი ფხვნილი—2700 მ. დაფინადი—3200 მან. სიმინდი—900 მან. ფუთი, ლობიო—600 მან. ქერი—1100 მან. ბრინჯი—2000—2200 მან. პურის ფქვილი რუსული—1700 მან. ადგილობრივი—1600 მან. მაკარონი—2000 მან. კარტოფილი—550 მ. გადამდნარი-ერბო—7800 მან. კარაქი—8000 მან. 75—80 მან. გირვანქა. კვერცხი—100 ცალი—650 მან. 700 მან. წიწილი—100 მ. ხიზილალა გირ.—500 მ. ქვის მარილი—600 მ. კახური ღვინო—800-900 ვედ. სპირტი—1800 მან. ვედ.

# მუშათა ცხოვრება

შრომის სამინისტრომ განიხილა სოხუმის დამტვირთავ არტელის მიერ აღძრული საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მისცეს ჯამაგირის ნახევარი მობილიზაციის წესით გაწვეულ არტელის წევრებს. შრომის სამინისტრო განმარტავს ამის შესახებ, რომ მობილიზაციის წესით გაწვეულ არტელის წევრებს ხელფასის ნახევარი უნდა მისცეს არტელმა ივნისის ანგარიშში.

ამასთანავე არტელის მიერ წარმოებულ მუშაობის ქირა ამ მიზეზის გამო არ უნდა გადიდდეს.

### შრომის ხელფასი ოფიცრებს.

შრომის სამინისტრომ ტფილისის თვითმართველობის მთავარ კონტროლიორს განუმარტა, რომ კანონი, რომელიც ეხება, მობილიზაციის წესით ჯარში გაწვეულთათვის ნახევარი შრომის ხელფასის მიცემას, ოფიცრებზე არ ვრცელდება. სხვა დანარჩენში 1919 წლის 30 იანვრის კანონი ვრცელდება ოფიცრებზედაც.

ამასთანავე შრომის სამინისტრომ განმარტა, რომ ადგილი ენახებათ იმ გაწვეულ მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც დროებით, ან დღიურათ სამუშაოზე იყვნენ მიწვეულნი, ეს მუშაობა თუ მობილიზაციამდის 2 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა.

### კოოპერაციის მოსამსახურენი.

კოოპერატივებში მოსამსახურეთა მრავალრიცხოვან კრებაზე გახილულ იყო საკითხი ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების შესახებ. აქამდე ასეთი ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული, ამიტომ კრებამ კოოპერატიულ სექციის ბიუროს მიანდო აუცილებლად შეკრას მოკლე დროში კოლექტიური ხელშეკრულება. ამავე სხდომაზე აღნიშნული იყო კოოპერატივებში მოსამსახურეთა მძიმე მატერიალური მდგომარეობა. მომხსენებელმა, რომელმაც გააკეთა მოხსენება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, წინადადება მისცა კრებას მოითხოვონ ჯამაგირის 100°/₀ გადიდება. მაგრამ კოოპერატიულ ბიუროს სექციამ განაცხადა, რომ იგი არ მოითხოვს დაჟინებით ჯამაგირის ასეთ გადიდებას, თუ მომარაგების სამინისტრო დააკმაყოფილებს მოსამსახურეების აუცილებელ მოთხოვნილებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შრომის სასამართლო.

შრომის სამინისტრომ დაამუშავა კანონ-პროექტი შრომის სასამართლოების შესახებ. ამ სასამართლოებმა უნდა განიხილოს ყველა უთანხმოება, რომელიც დაიბადება მეპატრონეთა და მუშებს შორის. ამ ჟამად ამ კონფლიქტებს ცენტრალური მომრიგებელი კამერა იხილავს. ეს კანონ-პროექტი დასკვნისათვის სავაჭრო და იუსტიციის სამინისტროებს გადაეცა. ვაჭრობის სამინისტრო ასეთი სპეციალური სასამართლოებს წინაალმდეგ წავიდა, ვინაიდან მისი აზრით საქართველოში საერთო დემოკრატიული სასამართლო არსებობს. შრომის სამინისტრო ფიქრობს მაინც შეიტანოს ეს კანონ-პროექტი მთავრობაში განსახილველად.

### დახმარება უმუშევართ.

„საკვების“ მუშების კავშირმა შეიმუშავა ინსტრუქცია უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ინსტრუქციის თანახმად კავშირის უმუშევრათ დარჩენილნი წევრები 10 კვირის განმავლობაში იღებენ დახმარებას დღეში 15 მან. მცირე წლოვანნი—7 მან. 50 კ. უმუშევართა დამხმარე ფონდი დგება საწევრო გადასახადების ჯამიდან 10% გადადებით და სალამოებისა და წარმოდგენების შემოსავლიდან.

## ტფილისის ქ. თვითმართველობაში

### უკანასკნელი დადგენილებანი.

ყოფილი კაფე „ფრასკატი“-ს ბინა, რომელიც მდებარეობს რუსთაველის პროსპექტზე ქვაშვეთის ეკლესიის სამრევლო საბჭოს შენობაში რეკვიზიციის წესით გადაეცემა გაზეთ „საქართველო“-ს სარედაქციო კოლეგიას.

— მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენლის წინადადების თანახმად ქალაქის გამგეობა ტფილისში მყოფ მომქმედ აბანოებს ლებულობს იჯარით.

— ქალაქის სისუფთავის დასაცავად ინჟენერ მამრაძის მოხსენების თანახმად გადიდებულ იქნება ქუჩებში გასაწმენდ და ნაგვის მხვეტველთა შტატი. ამ მიზნით შეძენილ იქნა 40 ცხენი, 41 ტაჩკა და გადაიდო შესაფერი თანხა.

## ქალაქთა კავშირში

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის სხდომა შესდგება 15 ივნისს, სალამოს 6 საათზე კავშირის შენობაში, პუშკინის ქუჩა, № 3, ხოლო ქალაქთა წარმომადგენლების მესამე ყრილობა 16 ივნისს 12 საათზე, ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის სადგომში (პუშკინის ქუჩა, № 3, შესავალი კარი სომხის ბაზრით № 6, პირველი სართული).

ყრილობის პროგრამა შემდეგია:

1) მოხსენება ადგილებიდან.

2) ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის განყოფილებათა მოხსენებები.

3) 1919 წლის ანგარიშები.

4) 1920 წლის შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვა.

5) კანონ-პროექტი ქალაქთა საბიუჯეტო-საფინანსო უფლებისა, მომხსენებელია დ. კალანდარაშვილი.

6( ადგილობრივი მმართველობანი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, მომხსენებელია მ. რუსია.

7) მუნიციპალური პოლიტიკა, მომხესენებელია ბ. ჩხიკვიშვილი.

8) „კომუნა და სახელმწიფო“, მომხსენებელია დ. თოფურიძე.

9) იურიდიული დახმარება და ნოტარიულ კანტორათა მუნიციპალიზაცია, მომხსენებელია პ. კახიანი.

10) კითხვა ქალ. ბორჯომისა და ბორჯომის სახელმწიფო მამულების სამმართველოს ურთიერთ შორის დამოკიდებულებისა, მომხ. ბ. ღლონტი.

11) კურორტების მოწყობისა და გამგებლობის შესახებ, მომხსენებელია ბ. ღლონტი და პ. კიკალიშვილი.

12) ელექტრონ გზა ტფილისსა დ კოჯორს შუა და მუშათა სამოსახლოები, მომხსენებელია პ. თუმანიშვილი.

13) საუღელტეხილო გზა: ქუთაისი-ბესლანი-კოპიტნარი, მომხ. პ. თუმანიშვილი.

14) ქალაქებისთვის საზღვარ-გარეთ სესხის ალების შესახებ, მომხ. პ. თუმანიშვილი.

15) არჩევნები ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის და სარევიზიო კომისიისა.

16) თვით ყრილობის მიერ დასმული კითხვები.

## ფრონტისათვის

### ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ფულით და ნივთებით შემომწირველთა ანგარიში.

თ. ორბელიანი 200 მან., ბაკურაძე 100 მ., იბრაიმოვი 100 მ., ედიდაროვი 500 მ., ჯაფაროვი 150 მ., სადის-ოღლი 100 მ., ბაირამოვი 100 მ., უმბათოვი 200 მ., ზალიდოვი 150 მ., აკპეროვი 700 მ., აბაზ-ზადე 200 მან., გაჯიევი 200 მ., ბალდასაროვი 500 მ., ტეროზაშვილი 100 მ., ვართანოვი, 150 მ., ანანიანცი 200 მ., ბაინდუროვი 100 მ., ჯანაშვილი 50 მ., თათულოვი 300 მ., მამამთავრიშვილი 300 მ., მარამოვი 500 მ., არდიშვილი 50 მ., არდიშვილი 20 მ., ციციშვილი 100 მ., მაპუტაძე 50 მ., ამირაჯიბი 3 მ., ი. ყაზბეგი 5 მ., ნ. ყაზბეგი 10 მ., კანდელაკი 55 მ., არტინსკი 100 მ., გრამატინი 100 მან., ანანიო 100 მ., კალდოაინი 55 მ., ბელეცკი 10 მ., ნადარეიშვილი 15 მან., ეზემელო 25 მ., აფხაიძე 10 ლირა., გეხლინგი 20 მ., თევზაია 100 მ., კიკნაძე 10 მ., ქართველოვი 20 მ., კილურაძე 30 მ., გედევანიშვილი 50 მ., ერისთავი 200 მ., დადიანი 100 მ., მუსხელოვი 100 მ., მაჩაბელი, ციციშვილი 100 მ., კარნომცეროვი 50 მ., ნაკაშიძე 10 მ., ბერიძე 50 მ., № 50 მ., ედიგაროვი 100 მ., ტარამანოვი 5 მ., გელე 50 მ., ნ. მდივანი 30 მ., ერისთავი 50 მ., № 35 მ., აფხაიძე 8 მ., ფედიშკინი 20 მ., № 100 მ.

შეგროვილი ქ-ნი ოდიშარიასაგან: თუთუნი 12 პაჩკა, საპონი 2 ნაჭერი, ჩაი 18 პაჩკა., პაპიროსის ქაღალდი 69 პაჩ., პირისაბანი საპონი 5 ცალი, პატარა სარკე 7 ცალი, პერანგის ღილი 6 დუჟ., ძაფი 3 მატ., მომპასიე 1/8 გირ., ჩაი 5/8 გირ., ასანთი 13 ცალი., ქუდი 3 ცალი, პაპიროსი 24 კოლოფი, ჩაის ჭიქა 1 ცალი, კონიაკი 2 ბოთლი, არაყი 2 ბოთლი.

რედაქცია „ეშმაკის მათრახისაგან“ გაზეთი 149 ცალი.

რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“საგან: გაზეთი 126 ცალი.

დიდუბის ეკლესიის საბჭოსაგან: ბოქალგინი 1.

ტფილისის კერძო „პუშკინის“ გიმნაზიისაგან ტომრიკები საჩუქრებით 30 ცალი.

P. S. აქ მოყვანილი ანგარიში თუ შეცდომას შეიცავს, კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს ყველას დაუყონებლივ აცნობოს ეს გარემოება მთავარ კომიტეტს, ტფილისი, სასახლე.

## საქართველოს სახელმწიფო ბანკი

სახელმწიფო ბანკის მმართველმა ი. ლორთქიფანიძემ საქ. დეპ. სააგ. წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობამ დიდი ხნის წინ განიზრახა საქართვ. სახელმწიფო ბანკის დაარსება. ამავე დროს განზრახული იყო ეროვნული ბანკი გახსნილიყო იმავე შენობაში, სადაც წინეთ მოთავსებული იყო რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილება. ასეთივე იყო თითქმის მთელი მთავრობის დადგენილება. ბანკის გახსნა გაძნელებულია ცოტათი მით, რომ რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგეობას, შენობის გადაცემასთან ერთად უნდა განყოფილების მთელი აქტივის და პასივის გადაცემაც, რაც საქართველოს სახელმწიფო ბანკს არ შეუძლია მიიღოს, ბინის საკითხის საჩქაროთ გადაწყვეტისათვის საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგეობამ დაადგინა, დატოვოს შენობაში ტფილისის განყოფილების მთელი არხივი, და აგრეთვე ძვირფასეულობა და მოწმობები იმის შესახებ, რომ ოპერაციები ამ ღირებულებათა შესახებ მხოლოდ რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების საშუალებით უნდა ხდებოდეს. მაგრამ ეს წინადადებაც უკუგდებულ იქმნა. ამავე დროს შეუძლებელი იყო რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების აქტივის და პასივის მიღება, ვინაიდან შეუძლებელი იყო რომელიმე საკრედიტო დაწესებულების, რაიმე ბალანსის მიღება, თუ დეტალურად არ იქნებოდა განხილული მთელი პასივი და არ იქნებოდა რწმენა, რომ იგი კეთილსაიმედო აქტივში არის გაწესრიგებული. მაგრამ უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს საკითხი უახლოეს დროში ან ისე და ან ასე იქნება გადაწყვეტილი და საქართვ. სახელმწიფო ბანკი გახსნილი იქნება იმ შენობაში, რომელსაც იგი ამისათვის უფრო ხელსაყრელად დაინახავს.

## ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა.

### აბრეშუმის კომპანია.

დასავლეთ საქართველოდან ტფილისში დაბრუნდა პარკის დამზადების მთავარი რწმუნებული ი. ქუთათელაძე, რომელმაც მომარაგების სამინისტროს მიმდინარე სააბრეშუმო კომპანიის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა. თავის მოხსენებაში ი. ქუთათელაძე აღნიშნავს, რომ არა ხელსაყრელ პირობების გამო დაიბადა საჭიროება მეაბრეშუმეთათვის სესხათ მიგვეცა თესლი და გაგვეგრძელებია დადებული ვადა ყიდვა გაყიდვისა 25 მაისამდის. სულ შესაძლებელი გახდა სააბრეშუმო რაიონებში გაგვენაწილებია 40000 კოლოფი თესლი საზოგადო ერობათა და კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით. ჭიას დაეტყო გამოცოცხლება ყველგან მაისის შუა რიცხვებში და შემდეგ ხელსაყრელ პირობებში ვითარდებოდა. წვიმებმა გამოაკეთა თუთის ნერგები და საერთოდ ფოთლიანი მოსავალი დამაკმაყოფილებელი შეიქნა. პარკის გაკეთება უნდა დასრულდეს ივნისის უკანასკნელ რიცხვებში და პარკის ბაზარი დაბლობ რაიონებში ივნისის ბოლო რიცხვებში უნდა გაიხსნას. აქა იქ უკვე გაკეთდა პარკები, რის გამო უკვე არის შეკითხვები, თუ როგორ აპირებს მთავრობა პარკის ოპერაციის ჩატარებას, ე. ი. ჩაატარებს ამას იგი მხოლოდ საზოგადო დაწესებულებათა დახმარებით, თუ კერძო პირების საშუალებითაც. მაგრამ არც ერთი ამ ჯგუფთაგანს არ გააჩნია საკმაო ფულის ნიშნები, ამიტომ მომხსენებელი საჭიროთ სთვლის მომავალი პარკის ოპერაცია სახელმწიფო ხარჯებით მოახდინონ, მაგრამ უნდა გამოიყენონ საზოგადო და კერძო წარმოებებიც. ქუთათელაძე აღნიშნავს, რომ სასურველია შეატყობინონ იმ საზოგადო თუ კერძო წარმოებებს, რომელთა საშუალებით დარიგებულ იქნა თესლი, რათა უკანასკნელნი დაუყონებლივ შეუდგენ მზდებას პარკის ოპერაციის ჩასატარებლად. სულ პარკის ოპერაციის ჩასატარებლად საჭირო იქნება არა ნაკლები 150 მილ. მანეთისა.

## განცხადებანი

დაიკარგა საბინაო დავთარი სოფლის ქუჩაზე, № 9 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის გაბო ოძელაშვილს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1342 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 130, ბეგლარ პოლოსიძე ადამაშვილის სახელზე, მიღებული ტფილს მაზრის სამხედრო უფროსისაგან 1920 წელს. გაუქმებულად ჩაითვლება. 1408 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი ეფემია ივანეს სულის პეტროვას სახელზე, მიღებული კავკავის ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვლება. 1386 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი, სუპ-კარაპეტის შესახვევში, № 14, მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის ნ. გოგიაშვილს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1405 3—3

დაიკარგა ფერშლის მოწმობა № 3572, ვლადიმერ კონსტანტინეს ძე გოგოძის სახელზე, სურამის ადგილობრივ ლაზარეთიდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1399 3—3

დაიკარგა პასპორტი გერასიმე კოსტას ძე კობახიძის სახელზე, მიღებული ბუგეულის საზ. (რაჭის მაზრა) ვომისრისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1439 3—2

დაიკარგა პასპორტი № 2338 ანა ტიმოთეს ასული ტამბოვცევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1442 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 389 ინჟ. სამუილ ლეიბის ძე გუტმანის სახელზე, მიღებული პეტერბურგის ოხტენის ნაწილის ბოქაულისგან 1913 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1387 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა; სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და მეტრიკული ამონაწერი— ალექსანდრე სიმონის ძე ჩარგიშვილის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1429 3—2

დაიკარგა პასპორტი ლუკა მარკოზის ძე ბოცვაძის სახელზე, მიღებული ს. გამოჩინებულის საზოგადოების სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1464 3—1

მაქსიმე პავლეს ძე გიგაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დროებითი პასპორტი მიცემული ქ. ტფილისის მე-უ5ნის სამილიციო სამმართველოდან, 23-ით გაუქმებულად ჩაითვალოს. 1421 3—1

დაიკარგა ნიკოლოზ ისააკის ძე მისკინოვის სახელზე დუბლიკატი მუდმივი პასპორტისა მოცემული მეშჩანთა სამმართველოდან 24 მაისს 1917 წელს № 6597|731. პირადობის მოწმობა მოცემული ქალაქ ტფილისის თვითმართვ. სასურს. განყოფილებიდან 1 ივნის 1920 წ. და ქორწინების მოწმობა. ყველა ზევიდ აღნიშნული მოწმომებს ვსთვლი გაუქმებულათ. 1432 4—3

დაიკარგა სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა დავით თომას ძე ხუციშვილს სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობის სამხედრო განყოფილებისაგან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1443 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ფასანაურის დუშეთის ქ. კუთხეში № 1—15 მდებარე. სახლისა, რომელიც ეკუთვნის იოსებ აღნიაშვილს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1389 3—3

დაიკარგა საბინო დავთარი პოტოჩნი შესახვევში № 5, მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის ხეთაგუროვს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1390 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი ევდოკია კუზმას ასულის ვოლკოვას სახელზე, მიღებული გორის მაზრის სამართველოდან 1919 წელს ოქტომბრის 25. გაუქმებულად ჩაითვლება. 1385 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი უკვე გარდაცვალებული არამ ივანეს ძე ნალბანდოვის მამულის, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1912 წ. რეესტრით № 1465, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1427 3—2

დაიკარგა გამწვევი სიის უწყება № 1, ივანე ზაქარიის ძე ქადაგიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მე-XI უბნის კომისარიატიდან 1 მარტს 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1430 3—2

დაიკარგა ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ გაცემული 1 იანვარს 1920 წ. № 218. ვაჭრობის ნებართვა, მეერ იოსების ძე გორენშტენის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1431 3—2

დაიკარგა მოწმობა № 936, ჯარში გასაწვევ ნაწილის მიწერილობაზე კონსტანტინე სოკოლოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალ. გამგეობიდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1434 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ვახტანგის ქუჩაზე № 14 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის ტერ-გალუსტოვს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1332 3—2

დაიკარგა პასპორტი რაფაინ ოგანესისძე აბგარიანცის სახელზე, მიღებული ერევნის მილიციის უფროსისაგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1438 3—2

დაიკარგა ხაბინაო დავთარი შვინდის ქუჩაზე, № 9, მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის სიმონ ჩილაშვილს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1412 3—3

დაიკარგა პასპორტი № 1 კარლოს იაკოფის ძე კრიგას სახელზე, მიღებული ასურეთის რაიონის კომისარისაგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1417 3—3

რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების ტფილისის კანტორა აცხადებს, რომ ამა წლის ივნისის ოცს, დილის ათს საათზე (ევზარხის მოედანი, მანთაშევის სახლი) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მოუთხოვნელ საქონელზე, რომელიც მიღებულია ნიჟნი-ნოვგოროდში გასაგზავნად ტფილისის კანტორის კვიტანციით № 6528639, საქონელი შეიცავს 94 ტომარა ცხვრის ტყავს, გაუკეთებელს მშრალს. საქონლის დათვალიერება შეიძლება 15 ივნისიდან ყოველ დღე 10—1 საათამდე. 1414 3—1



რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.